დაიჯესტი

19 ნოემბერი - 2 დეკემბერი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

ჩიკაგოს კოლეჯის ყოფილ სტუდენტს ფედერალურ ციხეში, „ისლამური სახელმწიფოს“ დახმარების მცდელობისთვის, შვიდ წელიწად-ნახევრით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ცნობით, 23 წლის თომას ოსადინსკიმ, ძალადობრივი პროპაგანდის ინტერნეტით გასავრცელებლად კომპიუტერული პროგრამა დააპროექტა, გამოიყენა და სხვებს გაუზიარა. ის გასულ წელს უცხოური ტერორისტული ორგანიზაციისთვის მატერიალური მხარდაჭერისა და რესურსებით უზრუნველყოფის მცდელობისთვის გაასამართლეს.

27 ნოემბერს, ფედერალურმა პროკურორებმა განაცხადეს, რომ აშშ-ის სამ მოქალაქეს, მათ შორის ერთს ლის სამიტიდან, წაუყენეს სისხლის სამართლის ბრალდება ცენტრალურ აფრიკაში, კამერუნში ტერორიზმის მხარდასაჭერ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის. 40 წლის კლოდ ნგენევუ ჩის, 49 წლის ფრენსის ჩენს მინესოტას შტატიდან; და 46 წლის ლაჰ ნესტორ ლანგმის, ნიუ-იორკიდან, ბრალი ედებათ ტერორიზმის მატერიალური მხარდაჭერის შეთქმულებაში, გამოსასყიდის მოთხოვნიდან თანხის მიღებასა და ფულის გათეთრებაში.

29 ნოემბერს გავრცელებული ინფორმაციით, სიეტლელ მამაკაცს, რომელმაც შეეცადა გამგზავრებულიყო ახლო აღმოსავლეთში და შესულიყო ერაყის ისლამური სახელმწიფოს რიგებში, მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. 22 წლის ელვინ ჰანტერ ბგორნი ფედერალურმა აგენტებმა 2021 წელს დააკავეს სიეტლის საერთაშორისო აეროპორტში, საიდან გამგზავრებასაც აპირებდა ეგვიპტეში, სინას უდაბნოში დაეშის საწვრთნელ ბანაკში მოსამზადებლად.

1-ელ დეკემბერს, აშშ-ს სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტმა სანქციები დაუწესა ორ ბუღალტერსა და ორ კომპანიას ლიბანში ტერორისტული ორგანიზაცია ჰეზბოლასთვის ფინანსური დახმარების გაწევისთვის. ტერორისტული ორგანიზაცია ჰეზბოლა ფინანსდება ირანის რევოლუციური გვარდიის მიერ.

საფრანგეთი

23 ნოემბერს, სტრასბურგში ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც რუსეთს, სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმის გამო, ტერორიზმის დამფინანსებელ სახელმწიფოდ გამოაცხადებს. ამავდროულად, კიევის სამხედრო ადმინისტრაციის ცნობით, უკრაინის დედაქალაქში ჩამოგდებული რუსული რაკეტის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა და ათეულობით დაშავდა.

დანია

დანიის პროკურორებმა განაცხადეს, რომ 18 ნოემბერს 35 წლის დანიელ ქალს სირიაში შესვლისა და ისლამური სახელმწიფოს საქმიანობის ხელშეწყობისთვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 5 შვილის დედის სასამართლო პროცესის დროს პროკურორი ამტკიცებდა, რომ ცოლები IS-ის მთავარი ნაწილი იყვნენ.

ბულგარეთი

19 ნოემბერს, ბულგარეთის მთავარმა პროკურორმა, ივან გეშევმა განაცხადა, რომ ბულგარელმა პროკურორებმა 5 ადამიანს ბრალი წაუყენეს იმ ტერორისტული აქტის მხარდაჭერისთვის, რომელიც 13 ნოემბერს სტამბოლის ცენტრში მომხდარ აფეთქებას უკავშირდება და რომლის შედეგადაც 6 ადამიანი დაიღუპა. გეშევმა გამოცემა Reuters-ს უთხრა, რომ ბულგარეთის პოლიციის ძალებმა მოლდოვური წარმოშობის 3 მამაკაცი და სირიულ-ქურთული წარმომავლობის მამაკაცი და ქალი ამ კვირაში, მეზობელი თურქეთის პროკურორებთან გამოძიების და მჭიდრო თანამშრომლობის შემდეგ, დააკავეს.

თურქეთი

ამერიკელმა და თურქმა სამხედრო გენერლებმა განაცხადეს, რომ თურქული საჰაერო თავდასხმები და სახმელეთო შეჭრა ჩრდილოეთ სირიის ტერიტორიაზე არის მათი ერთობლივი ოპერაციის ნაწილი, რომელსაც ახორციელებენ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ისრაელი

ბიბისის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხუთი პალესტინელი, მათ შორის 21 და 22 წლის ძმები, გარდაიცვალა ისრაელის ძალების მიერ ჩატარებული ოპერაციისას დასავლეთ სანაპიროზე. შეტაკებები მიმდინარეობდა მთელი ღამის მანძილზე ქალაქ რამალასთან და ჰებრონთან. აღნიშნულმა ოპერაციამ გამოიწვია პალესტინელი ახალგაზრდების საპროტესტო ტალღა, რომლებიც ისრაელს ბრალს სდებენ უდანაშაულო ახალგაზრდების მკვლელობაში.

სირია

20 ნოემბერს თურქეთმა გამოაცხადა, რომ მან განახორციელა საჰაერო დარტყმები უკანონო ქურთი მებრძოლების ბაზებზე ჩრდილოეთ სირიასა და ერაყში, რომლებიც, მისი თქმით, თურქეთის ტერიტორიაზე "ტერორისტული" თავდასხმების განსახორციელებლად გამოიყენებოდა. ბრიტანეთში დაფუძნებული ომის მონიტორინგის ჯგუფმა, სირიის ადამიანის უფლებათა ობსერვატორიამ განაცხადა, რომ ღამით სირიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთში დარბევისას, ძირითადად, სირიის ქურთების მიერ დაკავებულ პოზიციებზე, მინიმუმ 31 ადამიანი დაიღუპა.

23 ნოემბერს პენტაგონმა განაცხადა, რომ თურქეთის საჰაერო თავდასხმები ჩრდილოეთ სირიაში საფრთხეს უქმნის აშშ-ს სამხედრო პერსონალის უსაფრთხოებას და ვითარების ესკალაცია საფრთხეს უქმნის წლების წინ მიღწეულ პროგრესს დაეშის მებრძოლების წინააღმდეგ. შეერთებული შტატების საჯარო კომენტარები ნატოს მოკავშირე თურქეთის ჩრდილოეთ სირიაში ქურთი მებრძოლების წინააღმდეგ საჰაეროს ოპერაციის დღემდე ყველაზე მკაცრად დაგმობას წარმოადგენს.

30 ნოემბერს ისლამურმა სახელმწიფომ გაავრცელა განცხადება, რომ მათი ლიდერი აბუ ალ-ჰასამ ალ-ჰაშიმი ალ-კურაიში გარდაიცვალა ამერიკული სამხედრო ძალების მიერ განხორციელებული თავდასხმისას სირიაში, დარაას პროვინციაში. აშშ-ს სამედრო გენერალმა დაადასტურა, რომ აღნიშნული ოპერაცია სირიაში განხორციელდა ამ წლის ოქტომბერში.

როიტერსის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისლამურმა სახელმწიფომ აირჩია ახალი ლიდერი - აბუ ალ-ჰუსეინ ალ-ჰუსეინი ალ-ქურაიში. ტერორისტული ორგანიზაციის ყოფილი ლიდერი - აბუ ალ-ჰასან ალ-ჰაშემი ალ-ქურაიშმა თავი აიფეთქა სამხრეთ სირიაში, როდესაც ანტი-სამთავრობო აჯანყებულების ალყაში იმყოფებოდა.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ისრაელის თავდაცვის ძალების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ისრაელმა აღკვეთა „ჰეზბოლა 2“-ის ფორმირება სირიის ტერიტორიაზე. სირიის სამოქალაქო ომის საწყისი პერიოდიდან ირანი ცდილობს გააძლიეროს საკუთარი გავლენები სირიის ტერიტორიაზე, მათ შორის ჰეზბოლას მებრძოლების მონაწილეობით.

ერაყი

19 ნოემბერს უსაფრთხოების წყაროებმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადეს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები თავს დაესხნენ ერაყის არმიის პოზიციებს კირკუკის ჩრდილო-დასავლეთის გუბერნიაში, რის შედეგადაც 4 ჯარისკაცი დაიღუპა. უსაფრთხოების წყაროებმა განაცხადეს, რომ დაეშის მებრძოლებმა დიბისის რაიონში ჯარისკაცებს იარაღი და საკომუნიკაციო აღჭურვილობა წაართვეს და შემთხვევის ადგილი დატოვეს.

ირანი

19 ნოემბერს ირანმა გააკრიტიკა საერთაშორისო საზოგადოების „დუმილი“ ძალადობის აქტების მიმართ ქვეყანაში საპროტესტო აქციების დროს, რომელიც მაჰსა ამინის დაღუპვის შედეგად არის გამოწვეული. ისლამურ რესპუბლიკაში საპროტესტო აქციები ატყდა მას შემდეგ, რაც 16 სექტემბერს ქურთული წარმოშობის 22 წლის ირანელი ამინი გარდაიცვალა, მისი დაკავება ირანში ქალების ჩაცმის წესების სავარაუდო დარღვევას უკავშირდებოდა. ირანი არეულობის გაღვივებაში დიდ ბრიტანეთს, ისრაელსა და შეერთებულ შტატებს ადანაშაულებს.

იემენი

27 ნოემბერს იემენის საგარეო საქმეთა მინისტრმა, აჰმედ ავად ბინ მუბარაქმა აშშ-ს ელჩს იემენში, სტივენ ფაგინს მიმართა, რომ ჰუთები უნდა კვალიფიცირდნენ, როგორც ტერორისტული ჯგუფი. მუბარაქმა თქვა, რომ იემენის მთავრობა გეგმავს ჰუთების ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებას და ხაზი გაუსვა ამ გადაწყვეტილების საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მნიშვნელობას.

კატარი

მონიტორინგის ჯგუფის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ალ კაიდას რეგიონულმა ფრთამ მოუწოდა მუსლიმებს მთელ მსოფლიოში, თავი აარიდონ კატარში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს, თუმცა, ამ მოვლენასთან დაკავშირებით თავდასხმების მუქარა ან ძალადობის ხელშეწყობა შეწყვიტა. იემენში დაფუძნებული მებრძოლი ჯგუფის ფრთამ, ***ალ-კაიდამ არაბეთის ნახევარკუნძულზე*** გააკრიტიკა

კატარი „არაბეთის ნახევარკუნძულზე უზნეო ადამიანების, ჰომოსექსუალების, კორუფციისა და ათეიზმის მთესველების შემოყვანის გამო“ და თქვა, რომ ეს ღონისძიება „მუსლიმური ქვეყნების ოკუპაციისა და ოკუპაციისგან და მათი ჩაგვრისგან“ ყურადღების გადატანას ემსახურებოდა.

მოზამბიკი

სამხრეთ აფრიკის განვითარების ორგანიზაციამ 30 ნოემბერს განაცხადა, რომ 32 მებრძოლი გარდაიცვალა სამხედრო შეტაკებებისას მოზამბიკის ჩრდილოეთ პროვინშიაში, კაბო დელგადოში. აღნიშნული მებრძოლები იბრძოდნენ მოზამბიკში ისლამურ სახელმწიფოსთან აფილირებული ჯგუფების წინააღმდეგ.

სომალი

23 ნოემბერს, სომალის მთავრობამ განაცხადა, რომ ალ შაბაბის 49 მებრძოლი დაიღუპა ქვედა შაბელის რეგიონში სამხედრო ოპერაციაში, რაც უკანასკნელი იყო ერთთვიანი კამპანიის დროს, რომელიც მიზნად ისახავდა ისლამისტური დაჯგუფების დიდი ხნის განმავლობაში ტერიტორიის ხელში ჩაგდებას. ალ შაბაბმა, რომელიც ქვეყნის დიდ ნაწილს აკონტროლებს, აიღო პასუხისმგებლობა ოქტომბერში დედაქალაქ მოგადიშოში ორი მანქანის აფეთქებაზე, რომელმაც მინიმუმ 120 ადამიანი იმსხვერპლა.

ნიგერია

20 ნოემბერს უსაფრთხოების წყაროების და ადგილობრივმა მაცხოვრებლების ცნობით, შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ სამხედრო ბაზას და ქალაქს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიგერიაში და მოკლეს 9 ჯარისკაცი, 2 პოლიციელი და მშვიდობიანი მოსახლეობა რეგიონში ბოლო ძალადობის დროს. 18 და 19 ნოემბერს, სატვირთო მანქანებში მყოფი, ავტომატებით აღჭურვილი მებრძოლები, რომლებიც ეჭვმიტანილი იყვნენ დაეშის დასავლეთ აფრიკის პროვინციის (ISWAP) წევრებად, შეიჭრნენ ქალაქ მალამ ფატორიში, აბადამის რაიონში.

ავღანეთი

როიტერსის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 30 ნოემბერს რელიგიურ სკოლაში ლოცვის დროს აფეთქებამ იმსხვერპლა 15 ადამიანი ავღანეთის ჩრდილოეთ პროვინციაში, სამარგანში. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაშავებულია კიდევ 20 ადამიანი. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დგას აღნიშნული აფეთქეთქების უკან.

პაკისტანი

27 ნოემბერს, მებრძოლთა ჯგუფის სპიკერმა განაცხადა, რომ თალიბანის მებრძოლები პაკისტანში აღარ დაემორჩილებიან პაკისტანის მთავრობასთან ერთთვიანი ცეცხლის შეწყვეტას. ავღანური თალიბანი ხელს უწყობს სამშვიდობო მოლაპარაკებებს ადგილობრივ მებრძოლებსა და მთავრობას შორის გასული წლის ბოლოდან. ცეცხლის შეწყვეტის დასრულება ხდება 28 ნოემბერს ქაბულში პაკისტანის დელეგაციის ვიზიტის წინ, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრის, ჰინა რაბანი ხარის ხელმძღვანელობით.